პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
17 იანვარი
1942 წ.
№ 14 (6330)
ფასი 15 კაპ.

სამხედრო კომისრები სამამულო ომში

ექვსი თვის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა პოლიტიკური პროპაგანდის ორგანოების რეორგანიზაცია და შემოიღო სამხედრო კომისართა ინსტიტუტი მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. ეს იყო ჩვენი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებული შეუპოვარი, სისხლისმღვრელი ბრძოლის თვეები. ნახევარი წლის მანძილზე წითელმა არმიამ განვლო გერმანიის ფაშისტურ ურდოებთან და მათ დამქაშებთან გააფთრებული ბრძოლის ძნელი გზა. კომისართა ბოლშევიკური მუშაობით შედუღაბებული, სამშობლოს სადიდებლად საგმირო საქმეებისათვის მათ მიერ აღფრთოვანებული წითელი არმია, თავისი საყვარელი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, დღითი-დღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა, დიადი განმათავისუფლებელი ომის ცეცხლში იწრთობოდა და მსოფლიო სახელს იხვეჭდა—იმ არმიის სახელს, რომელიც გერმანელ დამპყრობთა ყაჩაღურ ურდოებს ანადგურებს. წითელმა არმიამ ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლების ყველა განსაცდელს გაუძლო, მოჰქანცა მტერი ამ ბრძოლებში და მეექვსე თვეს თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა. იგი წინსვლას განაგრძობს თავისი მეთაურებისა და კომისრების წინამძღოლობით.

სამხედრო კომისართა ინსტიტუტი ჯარებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ის ორგანიზაციული ფორმაა, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ისტორიული სამხედრო ამოცანების გადაჭრის დროს იყენებს. სამოქალაქო ომის პერიოდში ლენინ-სტალინის პარტიამ VIII ყრილობის მიერ სამხედრო საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერა: „არმიაში კომისრები არიან საბჭოთა ხელისუფლების არა მარტო პირდაპირი და უშუალო წარმომადგენლები, არამედ, უწინარეს ყოვლისა, დასახული მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენი პარტიის სულისკვეთების, მისი დისციპლინის, მისი სიმტკიცისა და მამაცობის მატარებელნიც. პარტიას შეუძლია სრული კმაყოფილებით გადახედოს თავისი კომისრების გმირულ მუშაობას, რომლებმაც, მეთაურთა შემადგენლობის საუკეთესო ელემენტებთან ხელ-ხელ ჩაკიდებულთ, ბრძოლისუნარიანი არმია შექმნეს მოკლე ვადაში".

ხალხის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება სამოქალაქო ომის სამხედრო კომისართა სახელი, რომლებმაც შეამჭიდროეს წითელარმიელთა რიგები, ჩაუნერგეს არმიას დისციპლინისა და საბრძოლო გამბედაობის სულისკვეთება, აღკვეთეს უფროსთა შემადგენლობის ცალკეული პირების მოღალატური მოქმედება. სამხედრო კომისრები გაბედულად და გადაჭრით იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულ პარტიულ და არაპარტიულ მეთაურთა და უფროსთა ავტორიტეტს და ახალ-ახალ დიდებასა და სახელს ჰმატებდნენ.

დიდ როლს ასრულებენ ჩვენი კომისრები გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან წარმოებულ სამამულო ომში. მშვიდობიანი რელსებიდან სამხედრო რელსებზე გადასვლამ გაართულა მეთაურის მუშაობა პოლკსა და დივიზიაში. ომმა მოითხოვა რომ მეთაურებს სრულ დახმარებას უწევდნენ პოლიტიკური მუშაკები არა მარტო პოლიტიკური მუშაობის დარგში, არამედ სამხედრო დარგშიაც. მან მოითხოვა პოლიტმუშაკების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება — იმის მსგავსად, როგორც ეს სამოქალაქო ომის პერიოდში იყო. გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის დღეებში სამხედრო კომისრები, პოლიტიკური ხელმძღვანელები და პოლიტიკურ განყოფილებათა მუშაკები გვიჩვენებენ, ისევე როგორც სამოქალაქო ომისდროინდელი სამხედრო კომისრები, ორგანიზატორთა და აგიტატორთა დიდ ნიჭს, რომლებიც წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილების ბრძოლისუნარიანობას ამტკიცებენ.

სამხედრო კომისარი ალექსანდრე ზაგუდაევი, ისევე როგორც ბევრი სხვა სამხედრო კომისარი, სატანკო ბატალიონში მოვიდა სისხლისმღვრელი ბრძოლების პერიოდში. იგი ბრძოლის ველზე გამოცხადდა, როგორც პარტიისა და მთავრობის წარმომადგენელი, დიდი ნდობითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი. მას ესმოდა, რომ პარტიის, ხალხის ნდობა დიდი ნდობაა. კომისარს უდიდესი სურვილი ჰქონდა გაემართლებინა ეს ნდობა. ზაგუდაევმა ბოლშევიკური მგზნებარებით მოჰკიდა ხელი ბატალიონის მებრძოლთა და მეთაურთა აღზრდას. მტკიცე მეგობრობით ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. მებრძოლებთან მეთაურისა და კომისრის ყოველდღიურ ურთიერთობაში იქმნებოდა ნაწილის სიმამაცე, იზრდებოდნენ გაბედული, ინიციატივიანი და საზრისიანი მეომრები, რომლებსაც სიკვდილისა არ ეშინიათ და მზად არიან უკანასკნელ სულთქმამდე ებრძოლონ მტერს.

სამხედრო კომისარი ზაგუდაევი მთელ თავის მუშაობაში მტკიცედ ეყრდნობოდა ბატალიონის პარტიულ ორგანიზაციას. იგი ყოველი ბრძოლის წინ ესაუბრებოდა კომუნისტებს, აგიტატორებს, თითოეული მებრძოლისათვის გასაგებს ხდიდა ბატალიონის წინაშე დასახულ ამოცანებს. იგი განუწყვეტლივ ზრუნავდა იმისათვის, რომ მებრძოლებსა და მეთაურებს არ მოჰკლებოდათ ყოველივე ის, რაც მათ ესაჭიროებათ, რომ ბატალიონს არავითარ პირობებში არ დაეკარგა ბრძოლის უნარი.

და ზაგუდაევის ბატალიონმა გერმანელ დამპყრობლებთან გააფთრებულ ბრძოლებში ნამდვილი გამბედაობა და მამაცობა გამოიჩინა. მისმა საბრძოლო საქმეებმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა გვარდიის პირველი სატანკო ბრიგადის გმირულ ისტორიაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ზაგუდაევის სატანკო ეკიპაჟზე იერიში მიიტანა მტრის რამდენიმე მძიმე ტანკმა. ზაგუდაევი არ დაიბნა. გვარდიელებმა მტერს ბრძოლა გაუმართეს. მათ პირდაპირი სროლით დაცხრილეს მტრის მძიმე ტანკი, ხოლო დანარჩენები გააქციეს. ოკუპანტთა წინააღმდეგობის დაძლევით მათ წინსვლა გაუადვილეს ჩვენს ქვეითს ჯარს. სოფელ სკრიმანთოვოსა და კოზლოვოსათვის წარმოებულ ბრძოლებში ზაგუდაევის ტანკმა მოსპო ფაშისტთა სამი მძიმე ტანკი, ერთი ნაღმსატყორცნი, ერთი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და მტრის ქვეითი ჯარის 20-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. კომისარ ზაგუდაევის მამაცობისა და თავგანწირვის პირადი მაგალითი პარტიის მიერ წარგზავნილთა საკომისრო მოღვაწეობის ნიმუშს წარმოადგენს.

ფაშისტ ჯალათებთან გააფთრებულ ბრძოლაში სამხედრო კომისრები ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ პოლკებისა და დივიზიების ჩვენს სახელოვან მეთაურებს ჯარების წინამძღოლობის საქმეში. ისეთი კომისრები, როგორიც არის, მაგალითად, პოლკის კომისარი კოკორინი, წარმოადგენენ პოლკის სულსა და გულს, ზნეობრივ ხელმძღვანელს, ბრძოლაში უშიშარ ადამიანებს, რომლებიც დიდ მოთხოვნას უყენებენ როგორც თავიანთ თავს, ისე ხელქვეითებსაც.

ის პოლკი, სადაც კომისრად ამხ. კოკორინი მუშაობს, შეტევას აწარმოებდა სოფელ პალჩინოზე. კოკორინი შეტევაზე გადასულ მებრძოლებთან იყო და მამაცობისა და გამბედაობის პირადი მაგალითით მიჰყავდა ისინი წინ. მას შემდეგ, რაც სოფელი დაკავებულ იქნა, და ასეულები, ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების ძლიერი ცეცხლის გამო, ხევში ჩაწვნენ, გერმანელებმა შეტევა დაიწყეს ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ბატალიონი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფაშისტები ჭარბი ძალებით უტევდნენ. ისინი სამი მხრიდან მოდიოდნენ. ზოგიერთ მებრძოლს წინააღმდეგობის წარმატების რწმენა ეკარგებოდა, ხოლო ზოგიერთმა ქვეგანაყოფმა ის იყო უკან დახევა იწყო. ამ წუთებში ბატალიონის მებრძოლების წინაშე გამოჩნდა კომისარი კოკორინი. მან მოუწოდა მებრძოლთ — გაანადგურონ მტერი, არ დაუთმონ მას დაკავებული პოზიციები, წინ გაუძღვა მებრძოლთ და ეკვეთა ფაშისტებს. მტრის იერიში მოგერიებულ იქნა, მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. ბრძოლის ველი ჰიტლერის არმიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით იყო მოფენილი.

თუ მეთაური მწყობრიდან გამოვიდოდა, ბევრი სამხედრო კომისარი და პოლიტხელი სათავეში უდგებოდა ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს და საბრძოლო ამოცანის შესრულებას განაგრძობდა. ფრონტის ცხოვრება სავსეა ათასობით მაგალითით, რომ სამხედრო კომისრები არ ერიდებოდნენ საფრთხეს, სძლევდნენ ყოველგვარ დაბრკოლებას, სათავეში უდგებოდნენ მებრძოლებს, მათთან ერთად სწრაფი იერიში მიჰქონდათ მტერზე და ანადგურებდნენ მას. ისინი მხნეობას, უშიშრობას უნერგავდნენ საბჭოთა მეომრებს და იმარჯვებდნენ. ისინი მასას მოწყვეტილნი კი არ იყვნენ, არამედ მასთან ერთად მიდიოდნენ ბრძოლაში, სავსებით დარწმუნებულნი, რომ მათი ნაწილების მებრძოლები ერთსულოვნად გაჰყვებიან მათ მტრის პოზიციებზე იერიშის მისატანად, რომ მამაცობისა და გმირობის მათს მაგალითს მებრძოლები ისე შეხვდებიან, როგორც პარტიის მოწოდებას, სამშობლოს მოწოდებას.

საგმირო საქმეებით არის აღსავსე ჩვენი ცხოვრება, ჩვენი დიადი განმათავისუფლებელი ომი თავზე ხელაღებული ფაშიზმის წინააღმდეგ. აღფრთოვანება გმირობას წარმოშობს. მებრძოლთა და მეთაურთა ნამდვილი აღმაფრთოვანებელნი არიან სტალინური სამხედრო კომისრები. ისინი მორალურ ძალას ჰმატებენ მებრძოლებს, ეხმარებიან მათ სამხედრო ტექნიკის დაუფლებაში, ზრუნავენ ყოველი მათგანისათვის, იმისათვის, რომ ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ საომარი მასალით, სურსათითა და საჭურვლით. გამბედაობისა და მამაცობის პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ ისინი მებრძოლებს საგმირო საქმეებისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

მტრის დამკვრელ სატანკო დაჯგუფებათა წინააღმდეგ წითელი არმიის წარმატებითი კონტრშეტევით დაიწყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის ახალი ეტაპი. ომის ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. ფაშისტთა გამხეცებული ურდოების ხელაღებითი შემოტევა, ჩვენი ჯარების ძლევამოსილი დარტყმის გამო, იმით შეიცვალა, რომ ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე მტერი უკან იხევს და თავდაცვაზე გადადის. მტერს ხელში გამოვგლიჯეთ ინიციატივა, შევზღუდეთ მისი ოპერატიული თავისუფლება. მთელი ომის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, რომ გერმანელები იძულებული არიან უკან დაიხიონ ჩვენი ჯარების იერიშების გამო; მათ უდიდესი ზარალი მოსდით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის სახით. ისინი აშენებენ გამაგრებულ ზოლებსა და წინააღმდეგობის კვანძებს, რითაც ცდილობენ რაც შეიძლება მეტ ხანს გაჩერდნენ მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ებღაუჭებიან თითოეულ ზღუდეს, რათა დარტყმის არედან გაიყვანონ თავიანთი ცოცხალი ძალა და გადაარჩინონ ტექნიკა. გათავხედებულ მტერს ესაჭიროება შესვენება, ესაჭიროება დრო იმისათვის, რომ ძალები გადააჯგუფოს და თავი მოუყაროს ახალ ძალებს. ჩვენი ამოცანაა არ შევანელოთ შეტევა! არავითარი შესვენება მტერს! ვდევნოთ დღედაღამ! არ მივცეთ მტერს გამაგრების საშუალება! ჩვენი ამოცანაა ზამთრის განმავლობაში მოვსპოთ მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ისე დავბერტყოთ, რომ გაზაფხულზე წამოდგომა ვერ შესძლოს!

ლენინ-სტალინის პარტია თავისი კომისრებით ამაყობს. მათ მაღლა უჭირავთ საბრძოლო ბოლშევიკური დროშა. ჩვენი პარტია დარწმუნებულია, რომ სამხედრო კომისრები, მეთაურებთან ერთად, წინ გაუძღვებიან წითელი არმიის პოლკებს, ბრიგადებსა და დივიზიებს მტრის თავდაცვის წინააღმდეგ იერიშის მისატანად, გაარღვევენ მას მთელ სიღრმეზე, გარს შემოერტყმიან და მოსწყვეტენ მტრის წინააღმდეგობის კვანძებს, მოსპობენ მის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას.

სამხედრო კომისრები წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რჩეული პოლიტმუშაკები არიან. მტერთან ბრძოლებში საგმირო საქმეებით სახელგანთქმულნი, წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის მიერ აღზრდილნი, ჩვენი კომისრები სამამულო ომში სულ უფრო და უფრო მეტ სახელს შეჰმატებენ საბჭოთა იარაღს, ახალ-ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ ოკუპანტებზე.

წინ, ამხანაგო კომისრებო!

„პრავდის" მოწინავე, 16/I.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 იანვრის დილის ცნობა

15 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ამხ. გოვოროვის (დასავლეთის ფრონტი) მებრძოლებმა, რომლებიც უკუქცეულ მტერს მისდევენ, 4 მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი დაიკავეს და ხელთ იგდეს მტრის 2 ტანკეტი, 6 ქვემეხი, 13 ავტოცისტერნი, 11 სხვადასხვა ავტომანქანა, 4 დაზგის ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, რამდენიმე ტრაქტორი და სხვა დავლა. სხვა უბანზე ამხ. ეფრემოვის მებრძოლებმა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს, 5 დასახლებული პუნქტი დაიკავეს და ხელთ იგდეს 3 ტანკი, 22 ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, 28 ნაღმსატყორცნი, 53 ავტომანქანა, 78 ველოსიპედი, 2 რადიოსადგური და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

ამხ. ფედიუნინსკის (ლენინგრადის ფრონტი) ერთ-ერთმა ნაწილმა მტერთან ბრძოლაში მოსპო 2 ქვემეხი, საომარი მასალით დატვირთული 4 საზიდარი და მტრის სათვალთვალო პუნქტი. ჰიტლერელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 280 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლეიტენანტმა ოგმანოვმა ცხარე ბრძოლის დროს შენიშნა, რომ ერთ-ერთი ტყვიამფრქვევის გუნდი მწყობრიდან გამოვიდა. მეთაური ტყვიამფრქვევთან წავიდა. ტყვიამფრქვევის მარჯვე სროლით ამხ. ოგმანოვმა ბრძოლაში მოსპო 40 გერმანელი ჯარისკაცი. მალე ტყვიამფრქვევი მწყობრიდან იქნა გამოყვანილი. ჰიტლერელები გარს შემოერტყნენ ამხ. ოგმანოვს. მაშინ მან შაშხანას მოჰკიდა ხელი და მარჯვე სროლით მოჰკლა კიდევ 1 ოფიცერი და 5 ჯარისკაცი. მამაცმა მეთაურმა დაღამებით ისარგებლა და თავის ნაწილში დაბრუნდა, ამასთან თან მიიყვანა ორი დაჭრილი მებრძოლი.

* * *

ყირიმელი პარტიზანების რაზმმა ამხ. პ-ს მეთაურობით იერიში მიიტანა ჰიტლერელთა ჯარის ნაწილებზე, რომლებიც უკან იხევენ ქერჩიდან. პარტიზანებმა ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს და გრანატები დააყარეს გერმანელებს. თავზარდაცემული მტერი გაიქცა, ამასთან ბრძოლის ველზე დასტოვა 120 გვამი, 6 ავტომანქანა, ქონებითა და საომარი მასალით დატვირთული 20 საზიდარი, ავტობუსი რადიოსადგურითურთ, 2 დაზგის ტყვიამფრქვევი, 5 მოტოციკლი, მრავალი ავტომატი, შაშხანა და ვაზნა.

* * *

ამას წინათ უნტერ-ოფიცერი გ. ვაიხერი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან სწერდა ალფრედ შეფერს: „ცუდი დღე გვადგია. შენ თვითონ იფიქრე, ლუდვიგ ფრანცი მოკლულია. დიახ, ძველი ჯარისკაცების რიგები სულ უფრო და უფრო თხელდება. ერთ დღეს ორი ამხანაგი დავკარგე ჩემი ათეულიდან. ხირვები მთლად მოშლილი მაქვს. ნოიგებაუერი მძიმედ არის დაჭრილი. ფელდფებელები — ფლაისიგი, სარსენი შნაიდერი და ძველი პირველი ასეულის ობერ-ფელდფებელი როსტერმანიც მოკლულია. დაიღუპა აგრეთვე ჩვენი ბატალიონის უკანასკნელი მეთაური, პოდპოლკოვნიკი ვალტერი. დაჭრილი არიან კიდევ ანფტი, ბორტუში და კობლდშეკი; [illegible] ლი და [illegible]

* * *

გერმანელ ეფრეიტორ რაინჰოლდ ბუკაარტს თავისი მეგობარი სწერს ბერლინიდან: „კვება ძალიან ცუდია, ამიტომ ორგანიზმს ნაკლებად აქვს შერჩენილი წინააღმდეგობის უნარი. ამინდის ოდნავი ცვლილებისას უკვე ცივდები. ვერასოდეს ვერა ძლები როგორც რიგია, ამიტომ აღარც მუშაობის ხალისია".

* * *

დღითი-დღე ძლიერდება ფინელი მოსახლეობის სიძულვილი გერმანელთა წინააღმდეგ, რომელთაც ფინეთი დაიმონეს. 3 იანვარს ქალ. სუოიარვის რაიონში შეტაკება მოხდა ფინელ და გერმანელ ჯარისკაცთა შორის. შეტაკებას, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილ იქნა 27 კაცი, საკომენდანტო ასეულმა მოუღო ბოლო, რომელმაც იარაღი იხმარა.

* * *

ქალ. გუმიუნდენში (გერმანია) 9 იანვარს ღამით პოლიციის ექიმმა შიმშილის ნიადაგზე სიკვდილის 5 შემთხვევა აღნუსხა.

* * *

8 იანვარს კაფანის მაღაროების (სომხეთი) მნგრეველმა ამხ. ბაბაიანმა მადნის ამოღების დღიური გეგმა 1.062 პროცენტით შეასრულა, ამხ. შაუმიანის სახელობის მაღაროს მბურღავმა ამხ. გაბრიელიანმა კი—1.699 პროცენტით. 11 იანვარს შამლუღის მაღაროების მეშახტე მიხეილ სოროკინმა ცვლის ნორმა 1.960 პროცენტით შეასრულა, ამავე მაღაროების მბურღავმა აბას აბულიაგაზმა კი — 1.495 პროცენტით.

16 იანვრის საღამოს ცნობა

16 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები გერმანიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგობას სძლევდნენ და წინსვლას განაგრძობდნენ. ცალკეულ უბნებზე მტერი კონტრშეტევაზე გადმოვიდა, რაც ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს და მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. ჩვენი ჯარის ნაწილებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

15 იანვრის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 45 თვითმფრინავი. ჩვენ 14 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

15 იანვრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 6 ტანკი, 155 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და ტვირთითურთ, საომარი მასალით დატვირთული 70-მდე საზიდარი, 5 ავტოცისტერნი საწვავი, დაანგრიეს რკინიგზის ხიდი, ცეცხლი წაუკიდეს საომარი მასალის 2 საწყობს და საწვავის ერთ საწყობს, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის 6 ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

ამხ. კუზნეცოვის მებრძოლებმა (დასავლეთის ფრონტი) ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში მოსპეს მტრის 4 ტანკი და ხელთ იგდეს 5 ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი, 60 ავტომანქანა და სხვა დავლა. სხვა უბანზე ჩვენმა მსროლელმა ნაწილმა მოსპო მტრის 2 ასეული ქვეითი ჯარი და ხელთ იგდო საომარი მასალითა და საჭურვლით დატვირთული დიდი ალალი, 1 ტანკი, 4 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ავტომატი.

* * *

გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ ქალაქ კიროვში ჩვენი ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს 36 ორთქლმავალი, 110 ვაგონი, 56 პლატფორმა, მათ შორის დაშლილი თვითმფრინავებით დატვირთული 7 პლატფორმა, საომარი მასალით დატვირთული 25 ვაგონი და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჰიტლერელებს მაშველი ძალები მოუვიდათ და კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. ჩვენი ჯარის ნაწილმა გერმანელები ტყვიამფრქვევთა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით შეაჩერა, ხოლო შემდეგ ფლანგებიდან მტერს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა. ჰიტლერელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან და ბრძოლის ველზე 300 გვამი დასტოვეს. ჩვენმა მებრძოლებმა, რომლებიც უკანდახეულ მტერს სდევნიდნენ, ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

* * *

საბჭოთა მზვერავების ჯგუფმა კაპიტან გორდიუკოვის მეთაურობით გაბედული თავდასხმა მოახდინა სოფელ მ-ზე. გერმანელები, რომელთათვისაც ეს თავდასხმა სრულიად მოულოდნელი იყო, სოფლიდან გაიქცნენ, ამასთან ბრძოლის ველზე დასტოვეს 20 მოკლული ჯარისკაცი, 2 ნაღმსატყორცნი და 30 შაშხანა.

* * *

უმცროს მეთაურ პუხალსკის მევატიანე კავალერისტთა ოცეულმა სოფელ მალინოვკის ქუჩებში გამართული ბრძოლის დროს მტრის ერთი ასეული ქვეითი ჯარი მოსპო.

* * *

კარელიის ტყეებში მამაცურად ანადგურებს თეთრფინელ ბანდიტებს პარტიზანული რაზმი ამხ. მ-ს მეთაურობით. ამ დღეებში პარტიზანები გზაზე ჩაუსაფრდნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში მოსპეს სხვადასხვა სამხედრო ქონებით დატვირთული 4 ავტომანქანა, 1 ჯავშნიანი მანქანა და გაჟლიტეს 46 ფინელი და გერმანელი, მათ შორის 3 ოფიცერი.

* * *

ახალი წლის წინა დღით გერმანელი ობერ-ეფრეიტორი ფრიც ლეიტმანი თავის ძმას სწერდა: „როგორც შენ, ალბათ, უკვე იცი, რუსებმა ფრონტის შუა უბანი გაარღვიეს. ეს სწორედ ჩვენთან მოხდა. მათ ხელთ იგდეს ყველა ქვემეხი. ჩვენიანების უმრავლესობა დაიღუპა. ეს ძალიან საშინელი სურათი იყო. მე-15 დივიზია სავსებით განადგურებულია. ჩვენ უკან დახევას განვაგრძობთ. დღეს ახალი წლის წინა დღეა, მე კი რუსების ტყვიებისაგან რომ თავი გადავარჩინა ოთხ საათზე მეტ ხანს ღრმა თოვლში ვიწექი. ჩვენ ძალიან ცოტანი დავრჩით".

* * *

გერმანელთა 502-ე სამშენებლო ბატალიონის მე-3 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ერიხ პრიდიკაიტმა შემდეგი ჩვენება მოგვცა: „უკანასკნელი ყინვების გამო ბატალიონის ყველა ჯარისკაცი ავად გახდა. ჩვენ შორის არავინ დარჩენილა ისეთი, რომ დამზრალი არა ჰქონდეს რაიმე: ხელის ან ფეხის თითები, ყური ან ცხვირი. სტარაია რუსას რაიონში განადგურებული ტანკსაწინააღმდეგო ბატარია ვნახე, რომელშიაც 8-10 კაცი დარჩენილა. იქვე იყო გერმანელთა ძლიერ დაზარალებული 135-ე საარტილერიო პოლკი, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ქვემეხი დარჩენია".

* * *

იტალიის მოსახლეობას სძულს გერმანელები, რომლებსაც აქ თავი ისე უჭირავთ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. ქალაქ მოდიკაში (იტალია) 11 იანვარს გერმანელ ჯარისკაცთა ყაზარმაში ღამით გრანატების კონა გადაისროლეს. აფეთქების შედეგად მოსპობილია 17 ჰიტლერელი. 9 იანვარს ამ ქალაქის გარეუბნებში გერმანელ მფრინავთა საერთო საცხოვრებელი დაიწვა და ძლიერ დაინგრა ანგარი, რომელშიაც გერმანელთა რამდენიმე თვითმფრინავი იდგა.

* * *

ლაიფციგში (გერმანია) სამხედრო-საველე სასამართლომ 8 გერმანელ ჯარისკაცს დახვრეტა მიუსაჯა იმისათვის, რომ მათ არ მოისურვეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წასვლა.

* * *

კუზნეცკის ქარხნის ფურცელმგლინავები დღითი-დღე ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას. იანვრის მეორე ხუთდღიურში მათ რამდენიმე ათასი ტონა ლითონი გამოუშვეს დავალების გადამეტებით. 9 იანვარს სამქრომ გეგმა 138,5 პროცენტით შეასრულა, 10 იანვარს—149,7 პროცენტით.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრება

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). 15 იანვარს ბერიას სახელობის ტყიბულის მუშათა თეატრში შესდგა ტყიბულქვანახშირის ტრესტის პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრება, რომელიც გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. დ. გიორხელიძემ.

მოხსენება ტყიბულქვანახშირის ტრესტის მიერ ქვანახშირის ამოღების გადიდების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 9 იანვრის დადგენილების შესახებ გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის დარგში ამხ. გ. ალავიძემ.

ამხ. ალავიძემ გააცნო აქტივს პარტიისა და მთავრობის დადგენილება და აღნიშნა, რომ მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქ. სსრ სახკომსაბჭოს სისტემატური დახმარებისა ტრესტის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველჰყო ქვანახშირის ამოღების გადიდება, მუშაობის გარდაქმნა სამამულო ომის ვითარების შესაბამისად. პირიქით, სამამულო ომის პერიოდში ადგილი ჰქონდა ქვანახშირის ამოღების შემცირებას. ტრესტს არ შეუსრულებია ქვანახშირის ამოღებისა და მოსამზადებელ სამუშაოთა 1941 წლის სახელმწიფო დავალება.

ამხ. ალავიძემ ტრესტის მიერ გეგმების შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად დაასახელა მუშაობის ცუდი ორგანიზაცია, მუშახელის არა რაციონალური გამოყენება, სამთო მექანიზმების გაუპიროვნება, დასავლეთის მაღაროს აუთვისებლობა და მისი კადრებით დაუკომპლექტებლობა, სტახანოვური მოძრაობისადმი, კადრების აღზრდისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და სხვ.

ამასთან მომხსენებელმა დასძინა, რომ მაღაროების პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები არ ეწევიან მოწინავე მაღაროელთა გამოცდილების პოპულარიზაციას, არ უზიარებენ მათს მდიდარ გამოცდილებას ჩამორჩენილებს.

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა დასავლეთისა და გელათის მაღაროების ხელმძღვანელნი, რომელთაც გასული წელი დიდი ჩამორჩენით დაამთავრეს.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. დ. ნიკოლაიძე, რომელმაც აღიარა, რომ მან, როგორც ტრესტის მმართველმა, თავი ვერ გაართვა საქმეს, და პირობა მისცა აქტივის კრებას, რომ ახალ სამუშაოზე სავსებით გაამართლებს პარტიისა და მთავრობის ნდობას, რომ მისი ხელმძღვანელობით დასავლეთის მაღარო ქვანახშირის ამოღების გეგმას მთლიანად შეასრულებს იანვარში, ხოლო პირველი თებერვლიდან ყოველდღიურად გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს.

შემდეგ გამოვიდა სტალინის სახელობის მაღაროს გამგე ამხ. კუბლაშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც მაღარომ 1941 წლის საწარმოო დავალება ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ამხ. კუბლაშვილმა აქტივის კრებაზე განაცხადა, რომ ბელადის სახელობის მაღაროს კოლექტივი ერთსულოვნად არის დარაზმული 1942 წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის და არავის დაუთმობს პირველობას.

კრებაზე კრიტიკული სიტყვით გამოვიდა ლენინის სახელობის მაღაროს გამგე ამხ. გრიგოლიძე.

მოხსენების გარშემო აზრი გამოსთქვა 15 კაცმა.

დასასრულ სიტყვებით გამოვიდნენ ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი ამხ. კოტე ბუჯიაშვილი და პარტრაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. გიორხელიძე, რომელთაც აქტივს გააცნეს ტრესტის მუშაობის უახლოესი ამოცანები.

დ. საბელაშვილი

გენერალ ზახარკინის ჯარის ნაწილები წარმატებით მოქმედებენ

დასავლეთის ფრონტი, 15 იანვარი (ტელეგრაფით). მედგარი ბრძოლების შედეგად გენერალ ზახარკინის ჯარის ნაწილებმა 20 დღის განმავლობაში გერმანელებს რამდენიმე ასეული დასახლებული პუნქტი წაართვეს. ყველაზე უფრო წარმატებით მოქმედებს გვარდიის № ნაწილი, რომელიც მგზრად ურტყამს მტერს და სწრაფად მიიწევს წინ. სოფელ ვორობიოვკისათვის ბრძოლაში მტერმა მარტო მოკლულთა სახით 1.262 კაცი დაჰკარგა. ამ სოფლის ქუჩები და მისი განაპირა უბნები პირდაპირ სავსე იყო ფაშისტ ყაჩაღთა გვამებით.

სოფელ ბრიოხოვკაში 600 გერმანელი იმყოფებოდა. მსროლელთა № ნაწილის მიერ ღამით უეცრად მიტანილი იერიშით მტერი განადგურებულ იქნა.

ახლა გვარდიელებმა ტულის ოლქის უკანასკნელი სოფლები გასწმინდეს ფაშისტებისაგან. გენერალ ზახარკინის ჯარები სწრაფად მიიწევენ წინ.

ბატალიონის კომისარი ნ. ხარიტონენკო.

თამბაქოს დამზადების გეგმის შესრულება

ოჩამჩირის რაიონმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა.

საქ. კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომის მდივანი **ჯანჯღავა.**

ოჩამჩირის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ტარბა.**

ძველი კვალიფიციური მუშები საწარმოებს უბრუნდებიან

პარტიის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურენ

სამამულო ომის ვითარებით შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ძველი კვალიფიციური მუშების საწარმოებში დაბრუნების მოძრაობა სულ ახალი და ახალი ძალით ვითარდება. სამშობლოს ათეულობით მუშა-პატრიოტები, რომლებიც თავის დროზე სხვადასხვა გარემოებათა გამო ჩამოშორდნენ თავიანთ ძირითად პროფესიას, მხურვალედ გამოეხმაურნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის იმ მოწოდებას, რომ დაუბრუნდნენ საწარმოებს და შესცვალონ ფრონტზე წასული მუშათა კადრები.

პარტიის თბილისის კომიტეტში 14 იანვარს შემდგარი ძველი კვალიფიციური მუშების თათბირის შემდეგ, გუშინ, 16 იანვარს მეორედ შესდგა ასეთივე თათბირი, რომელსაც 70 კაცი დაესწრო.

თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ე. ჩერქეზიამ,** რომელმაც თავის მოკლე შესავალ სიტყვაში დამსწრეთ გააცნო თათბირის ამოცანა და დასძინა, რომ პარტიის მოწოდებას, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი ძველი მუშა გამოეხმაურა, გუშინ 70 კაცი უკვე შეუდგა მუშაობას საწარმოებში.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდა 15-ზე ამხანაგი, მათ შორის: ამხ. ბერიძე, კულუმბეკოვი, ხელაძე, სულთანოვი და სხვ. გამოხატეს რა ყველა დამსწრეთა აზრი, მათ განაცხადეს, რომ მზად არიან წავიდნენ იმ სამუშაოზე, რომელსაც მოითხოვს სამშობლოსა და ფრონტის ინტერესები.

თათბირის შედეგად საწარმოებს დაუბრუნდა ძველ კვალიფიციურ მუშათა კიდევ ერთი დიდი ჯგუფი.

ჩვენი სამშობლოს დასაცავად

1925 წლამდე ვმუშაობდი თბილისის სხვადასხვა ქარხნებში ზეინკლად. შემდეგ ვმუშაობდი სხვადასხვა სამეურნეო, პროფკავშირულ და ადმინისტრატიულ თანამდებობაზე. საწარმოდან ჩემი წასვლის შემდეგ პარტიამ და ხელისუფლებამ საშუალება მომცა, ყოფილ ზეინკალ მუშას უმაღლესი განათლება მიმეღო. დავამთავრე უნივერსიტეტი.

ახლა, სამამულო ომის პერიოდში, მე ქვეყანას უფრო მეტს ვარგებ, თუ კვლავ საწარმოს დავუბრუნდები და ვიმუშავებ იმისათვის, რომ ჩვენმა მრეწველობამ სახელოვნად შეასრულოს თავისი ამოცანა მრისხანე სამამულო ომში.

ძველ კვალიფიციურ მუშებს ბევრის გაკეთება შეგვიძლია სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების დასაჩქარებლად. უწინაც დიდი რაოდენობით გავგიზრდია ახალი კადრები სოციალისტური მრეწველობისათვის. ახლა კიდევ მეტის ენერგიით უნდა მოვკიდოთ ხელი ახალგაზრდა კადრების აღზრდას, ახლა უფრო დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ დაზგებთან.

ირ. კაციტაძე

მალე გავხდები ორასოვანი

მაქვს გამოგონებები, ვარ მექანიკოსი. 1930 წლიდან ვმუშაობ სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებებში. ორი წელიწადი ვსწავლობდი უმაღლეს სასწავლებელში და ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა გაძლიერებულ სტიპენდიას მაძლევდა.

ახლა ჩემს მოვალეობად მიმაჩნია დავბრუნდე საწარმოში და ომიანობის დროისათვის შესაფერისი სტახანოვური მუშაობით ხელი შევუწყო ჩვენს წითელ არმიას მტერზე გამარჯვების მოპოვებაში.

სიტყვას ვიძლევი ვიმუშაო თავდადებით, პირნათლად შევასრულო საწარმოო დავალებები და უმოკლეს ხანში ჩავდგე ორასოვანთა რიგებში. ჩემს ამხანაგ ძველ კვალიფიციურ მუშებს, რომლებიც ახლა საწარმოებში არ მუშაობენ, მოვუწოდებ მიბაძონ ჩვენს მაგალითს და დაბრუნდნენ საწარმოებში სამუშაოდ.

ავ. ჯანელიძე

დაზგებთან, ამხანაგებო!



28 წლის საწარმოო სტაჟის მქონე ზეინკალ – მექანიკოსი დღემდე „საქენერგოს" მომარაგების განყოფილების გამგედ ვმუშაობდი. მე კი სურვილი მქონდა ვიმუშაო უშუალოდ ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს დიდი სულიერ კმაყოფილებას მომანიჭებდა, როგორც საბჭოთა ქვეყნის პატრიოტს.

სიხარულით და აღტაცებით მივდივარ საწარმოში და დავდგები ჩემს დაზგასთან, რათა საკუთარი მარჯვენით გამოვჭედო მტერზე გამარჯვების იარაღი.

დავუბრუნდეთ, ამხანაგებო, საწარმოებს, წავიდეთ ჩვენს დაზგებთან, მალე გამოვჭედოთ ჰიტლერელთა ურდოებზე გამარჯვების იარაღი.

ანდრია დაბახიშვილი

საპატიო მოვალეობა



კვალიფიციურ მუშათა რიგებს მეც ვეკუთვნი. საბჭოთა ხალხის ამ დიად სამამულო ომში ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია დავუბრუნდე საწარმოს, ჩემს დაზგას და თავდადებით ვიმუშაო იმ საპასუხისმგებლო დავალების შესრულებაზე, რასაც ჩვენი წითელი არმია უყენებს სოციალისტურ მრეწველობას.

უკვე ოცი წელიწადია ჩემს ხელობაზე (ზეინკალ-მექანიკოსად) არ მიმუშავნია, მაგრამ ხელობა მაინც კარგად მახსოვს. არა მგონია ჩამოვრჩე სხვებს მუშაობაში.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრობა, საბჭოთა სამშობლოს პატრიოტის მოვალეობა ყველა დაწინაურებულ მუშას გვავალებს დავეხმაროთ ახლა სამშობლოს, დავეხმაროთ გმირ წითელ არმიას მტრების განადგურებაში.

ნიკო ფირიაშვილი

ახალგაზრდული ენერგიით ვიმუშავებ



მე ძველი ზეინკალი ვარ და ჩემ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს. 1904-დან 1932 წლამდე დაზგასთან ვმუშაობდი, შემდეგ ავადმყოფობის გამო წარმოებაში მუშაობას თავი გავანებე და პენსიაზე გადავედი. ამჟამად ქიმიური ქარხნის საგალენო საამქროში ვარ მწმენდავ მუშად, მაგრამ ჩემი საყვარელი პროფესია მთლად ზეინკლობაა.

19 იანვრიდან მუშაობას დავიწყებ 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში ზეინკლად. სიხარულით დავუბრუნდები ჩემს ძველ ხელობას და დარწმუნებული ვარ, მიუხედავად სიბერისა, ვიმუშავებ დაუღალავად, საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით შევასრულებ და ახალგაზრდა მუშებსაც ენერგიულად დავეხმარები. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ მაქვს შესაძლებლობა ჩემი შრომით სარგებლობა მოვუტანო საბჭოთა ხალხს, დავეხმარო გმირ წითელ არმიას.

ნ. ოგანეზოვი

სამამულო ომის ფრონტებზე

ბრძოლა მედინისათვის

(საუბარი გენერალ-მაიორ კ. დ. გოლუბევთან)

მალოიაროსლავეცის აღებით ბოლო მოეღო მალოიაროსლავეცის მიმართულებას. მედინის აღებით ლიკვიდირებულ იქნა კიდევ ერთი ყოფილი მიმართულება, 40 კილომეტრი სიღრმისა. ამ 40 კილომეტრს ჩვენი ჯარები სძლევდნენ გერმანელთა მედგარი წინააღმდეგობის პირობებში, რომლებიც არაერთხელ გადმოვიდნენ კონტრიერიშებზე. ბრძოლა თითქმის თითოეული დასახლებული პუნქტისათვის სწარმოებდა. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა იყო მედინისათვის, სადაც ქუჩებში სისხლისმღვრელი შეტაკება თითქმის ორ დღე-ღამეს სწარმოებდა. აქ მოგერიებულ იქნა მტრის სამი კონტრიერიში, რომელთაგან უკანასკნელი იერიში ფაშისტებმა ტანკების დახმარებით მოიტანეს.

ძველი ქალაქი მედინი, რომელიც ოთხი დიდმნიშვნელოვანი მაგისტრალის შუაგულს წარმოადგენს, ფაშისტებმა სანახევროდ ჯერ კიდევ იმ პერიოდში დაანგრიეს, როცა მოსკოვს უტევდნენ. უკანასკნელი ბრძოლების დროს მტერმა თავდაცვისათვის ყველა ქვითკირის ნაგებობა „გამოიყენა, ქუჩები ბარიკადებით დახერგა, საფარში ტანკები და ქვემეხები დასდგა.

ისევე როგორც მალოიაროსლავეცის აღების დროს, ჩვენ ფლანგებიდან ან და ზურგიდან შემოვუარეთ მტერს. ამ მანევრის შედეგად იგი ტომარაში აღმოჩნდა, და თითო-როოლა ჰიტლერელმა თუ შესძლო ცოცხლად თავის დაღწევა. მტრის ასობით გვამი, 6 ტანკი, 25 ქვემეხი, 648 ავტომანქანა, დიდძალი ტყვიამფრქვევი, ავტომატი და სამხედრო მასალა დარჩა განთავისუფლებული ქალაქის ქუჩებში.

ჩვენი ჯარის ნაწილების დარტყმების შედეგად უკან დახევისას, გაცოფებული ფაშისტები თავიანთი დამარცხებისათვის შურს იძიებდნენ ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობაზე. მტრებმა ცეცხლს მისცეს მთელი ქალაქი, ააფეთქეს ქვითკირის ნაგებობანი, ცდილობდნენ მთელი მოსახლეობა გაერეკათ მედინიდან. ჩვენმა საბჭოთა ადამიანებმა ეს საზიზღარი განზრახვა ჩაშალეს. ისინი ახლომახლო ტყეებში გაიფანტნენ და ახლა ბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ ქალაქში.

ჩვენს მიერ განვლილ გზაზე ამჟამად ესპობთ მტრის მევტომატეთა ნაშთებს. ზოგიერთი მათგანი ვერ უძლებს ბრძოლასა და ყინვებს, იარაღს ჰყრის და ტყვედ გვნებდება. თუ რა აჩქარებით გარბიან გერმანელი ბატონი ოფიცრები—ეს თუნდაც იქიდან სჩანს, რომ ისინი თავიანთ ორდენებიან მუნდირებსაც კი სტოვებენ. მაგალითად, ერთ-ერთმა გენერალმა თავისი მოოქრულვადიანი და ლალებით მოოჭვილი ხმალი დასტოვა, რომლითაც მას, ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ ფაშისტთა პარადს დაესწრებოდა მოსკოვში. ჯარისკაცთა მორალური მდგომარეობისათვის კი დამახასიათებელია ფაქტი, როცა გერმანელმა ჯარისკაცებმა სოფელ ბრიუხოვოში თავიანთი ოფიცერი მოჰკლეს და ამასთან მცხოვრებლებს განუცხადეს, რომ „რუსი ჯარისკაცი კარგად ომობს, გერმანიის არმიას კი ცუდი დღე ადგია..“

ჩვენი ჯარის ნაწილები გმირულად იბრძოდნენ მედინთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნონ ამხ. შევცოვისა და ნაუმოვის ქვეგანაყოფები, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ მედინში. ამ ოპერაციის წარმატება გადასწყვიტა ქვეითი ჯარის, არტილერიისა და ტანკების ერთობლივმა შეტევამ, რომლებსაც ავიაცია ეხმარებოდა. ჩვენი მებრძოლების მიერ ბანდიტებისათვის წართმეულ დიდძალ იარაღს გერმანელთა წინააღმდეგვე ვიყენებთ. ჩვენი ჯარის ნაწილები ჩვენი სარდლობის ბრძანებას ასრულებენ — განაგრძობენ მტრის შემუსვრას. სულ უფრო და უფრო შორს მიერეკებიან მას.

დასავლეთის ფრონტი, 15 იანვარი („პრავდის“ სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან).

„პრავდა“, 15 იანვარი.

ჩვენი ჯარის ნაწილები მტერს ავიწროებენ

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 15 იანვარი („პრავდის“ სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში № ნაწილი მედგარ ბრძოლას ეწეოდა მტერთან, რომელიც არაერთხელ შეეცადა კონტრიერიშებზე გადმოსულიყო. მტერმა ვერ გაუძლო ჩვენი არტილერისტებისა და ქვეითების ცეცხლს და იძულებული გახდა სწრაფად დაეხია უკან. გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულია კიდევ ერთი დიდი დასახლებული პუნქტი—მ. გერმანელებმა ერთი ტანკი და 4 ქვემეხი წავართვით.

ფრონტის მეორე უბანზე გერმანელები განდევნილ იქნენ დასახლებულ პუნქტ ზ-დან. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ფაშისტები ორჯერ შეეცადნენ კვლავ დაეკავებინათ ეს პუნქტი, მაგრამ ორივე იერიში მოგერიებულ იქნა.

მტერი განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს ნ-ს რაიონში. აქ მან ახალი ძალები და ტანკები მოაყარა.. ჩვენი მებრძოლნი მტკიცედ აჩერებენ მტრის შემოტევას და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მას. ერთ-ერთმა ქვეგანაყოფმა ერთი დღის განმავლობაში მოსპო მტრის 4 ავტომანქანა სამხედრო ტვირთითურთ და 150 ჯარისკაცი. მეორე ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ერთი დღის განმავლობაში 200-ზე მეტი გერმანელი დახოცეს.

უ. ჟუკოვინი.

(„პრავდა“, 16 იანვარი).

ჰიტლერელი მხეცები დაუსჯელნი არ დარჩებიან

გერმანიის მიერ ოკუპირებული მოკავშირე ქვეყნების კონფერენციაზე

ლონდონი, 16 იანვარი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, გერმანიის მიერ ოკუპირებული მოკავშირე ქვეყნების კონფერენციაზე, რომელიც ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ჩადენილ მხეცობას მიეძღვნა, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ცუდეროსი გამოვიდა. მან ილაპარაკა გერმანელთა, იტალიელთა და ბულგარელთა მიერ ბერძენი ხალხის სისხლში ჩახრჩობის, კერძოდ, შიმშილით ამოწყვეტის მეთოდების შესახებ. ოკუპანტები ბერძენ ხალხს იმისათვის ელეტავენ, რომ საბერძნეთში დამკვიდრდნენ.

ცუდეროსმა განაცხადა: „ამიერიდან მკვლელები და მძარცველები ვერ შესძლებენ თავი დააღწიონ პასუხისმგებლობას იმ საბაბით, რომ ისინი ბრძანებას ასრულებდნენ“.

იუგოსლავიის მთავრობის სახელით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი იოვანოვიჩი, რომელმაც განაცხადა: „ასიათასობით იუგოსლაველი უკვე გახდა დამპყრობთა და მათ დამქაშთა მსხვერპლი. ასიათასობით იუგოსლაველი იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი სახლკარი, რათა ადგილი გაეთავისუფლებინათ დამპყრობთათვის. მთელი დასახლებული პუნქტები მოსპობილია და მათი მცხოვრებნი თითქმის სულ ერთიანად გაჟლეტილი არიან. უდანაშაულო ადამიანები დაისაჯნენ იმ წინააღმდეგობისათვის, რომელიც იუგოსლავიის არმიამ გაუწია აგრესორს“.

შემდეგ კონფერენციაზე წაკითხულ იქნა ჰოლანდიის, ბელგიისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებთან აკრედიტებული ჩინეთის დიპლომატიური წარმომადგენლის წერილი. წერილში ნათქვამია, რომ ჩინეთის მთავრობა დეკლარაციაში აღნიშნულ პრინციპებს იცავს და ფიქრობს, რომ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი ბოროტმოქმედება დაგმობილ უნდა იქნას და დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი. ჩინეთის მთავრობას განზრახვა აქვს თავის დროზე იგივე პრინციპი გამოიყენოს იაპონიის საოკუპაციო ხელისუფლებისადმი ჩინეთში.

ომი წყნარ ოკეანეში

(14 იანვრის დეპეშების მიმოხილვა)

ფილიპინებზე განუწყვეტელი საარტილერიო სროლაა ლუსონის კუნძულის მთელ ფრონტზე. ამ სროლის დროს ამერიკისა და ფილიპინების ბატარიებმა აჯობეს იაპონიის არტილერიას. იაპონელებმა რამდენჯერმე მიიტანეს გააფთრებული იერიში ავიაციისა და არტილერიის დახმარებით, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში წარმატება არა ჰქონიათ, ამასთან დიდი ზარალი მოსდიოდათ. იაპონელთა ტანკების კოლონები, მოტომექანიზებული ნაწილები და ქვეითი ჯარი გაფანტულ იქნა ამერიკის არტილერიის კონცენტრირებული ცეცხლით. განადგურებულია მოწინააღმდეგის 11 ბატარია. ამერიკისა და ფილიპინების ჯარები კვლავ მტკიცედ ინარჩუნებენ თავის პოზიციებს მთიან რაიონში მანილის ჩრდილოეთით.

უკანასკნელი ცნობებით, იაპონელებმა მინდანაოს და ჯოლოს კუნძულებზე მოწინავე ბაზები შექმნეს, სადაც როგორც სჩანს, განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ მალაიასა და ჰოლანდიის ინდოეთში წარმოებულ ოპერაციებს.

ამერიკის 3 ბომბდამშენმა, ჰოლანდიის ინდოეთის საჰაერო ძალებთან თანამშრომლობით, იერიში მიიტანა იაპონელთა გემებზე, რომლითაც დესანტი გადაჰყავდათ ბორნეოს კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. 2 გემი მოსპობილია.

მალაიაში. დასავლეთ ნაწილში გრძელდება ინგლისის ჯარების უკან დახევა ზურგში წინასწარ მომზადებულ ახალ პოზიციებზე. მალაიის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოქმედი იაპონელთა ჯარები ისწრაფვიან, რაც შეიძლება, ჩქარა დაამთავრონ მთელი პაჰანგის პროვინციის დაკავება. უკანასკნელი ცნობებით, იაპონელთა კოლონებს, რომელნიც ქუალა-ლუმპურის სამხრეთისაკენ უტევენ, იერიში მიაქვთ ინგლისის თავდაცვის ახალ ხაზზე, რომელიც დიქსონის ნავსადგურიდან სერენბანამდე მიდის.

ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს სინგორის (ტაის სამხრეთი ნაწილი) რკინიგზის სადგურზე. ჩამოყრილ იქნა რამდენიმე ტონა ცეცხლგამჩენი და ფუგასური ბომბი. მეორე ბომბდამშენმა იერიში მიიტანა ნავსადგურზე, სადაც ბევრგან ხანძარი გაჩნდა. გარდა ამისა, ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს პრაჩუაბ-კირიკუნსა და რაუბურზე. 13 იანვარს, დილით, იაპონელთა ავიაციამ დაბომბა რანგუნის ჩრდილოეთით მდებარე აეროდრომი. ნგრევა და მსხვერპლი არა ყოფილა.

ინგლისელთა პატრულები, რომელნიც ბირმისა და ტაის საზღვარზე მოქმედებენ, წყნარ ოკეანეში ომის დაწყებიდან პირველად შეებნენ იაპონელთა ჯარებს.

ჰოლანდიის ინდოეთში. ჰოლანდიის ინდოეთის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა 14 ტრანსპორტზე ტარაკანის კუნძულის ახლოს. აღნიშნულია პირდაპირი მოხვედრა. ტრანსპორტებს დიდრონი კრეისერები და სატორპედო კატერები ახლდათ.

15 იანვარი (საკდესი).

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 15 იანვარი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჰოლანდიის ინდოეთში ამერიკის 3 ბომბდამშენმა, რომლებიც დახმარებას უწევდნენ ჰოლანდიის ინდოეთის ჯარების ოპერაციებს, იერიში მიიტანა იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებზე, რომლებიც დესანტის გადასხმას ეწეოდნენ ტარაკანის კუნძულზე (ბორნეოს მახლობლად). მოსპობილია მტრის 2 ავიაგამანადგურებელი.

სხვა პუნქტებში მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). რანგუნში მყოფი ინგლისის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის თვითმფრინავები იაპონელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას ზვერავდნენ. 14 იანვარს დილით იაპონიის ავიაციამ რანგუნის ჩრდილოეთით მდებარე აეროდრომი დაბომბა. დაბომბვას არავითარი ზარალი არ მიუყენებია და არავითარი მსხვერპლი არ გამოუწვევია.

14 იანვარს იაპონიის 4 თვითმფრინავმა დაბომბა სავოი, რომლისთვისაც აგრეთვე არავითარი ზარალი არ მიუყენებია.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობა

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის ჯარებმა კონტრშეტევა დაიწყეს იაპონელთა წინააღმდეგ, რომლებიც ბორნეოს კუნძულზე გადმოსხდნენ. ბრძოლა სარავაკის საზღვარზე სწარმოებს.

14 იანვარს ჰოლანდიის ავიაციამ დაბომბა მტრის მიერ დაკავებული ტარაკანის კუნძული და იაპონიის ბაზები სამხრეთ ფილიპინებზე.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 15 იანვარი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, 15 იანვარს დღისით იაპონიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მოლუკის კუნძულებს, ახალ გვინეას და ახალ ბრიტანეთის კუნძულებს. იაპონიის ავიაციამ იერიში მიიტანა აგრეთვე ავიაბაზაზე კოლონდალში (ცელებესის კუნძული).

იაპონიის ჯარებმა, რომლებიც მალაიის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ მოქმედებენ, მალაკის სახელმწიფოების საზღვარი გადასერეს და ქალაქი დემასი დაიკავეს.

მდგომარეობა მალაიაში

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის“ სინგაპურელი კორესპონდენტი სწერს, რომ მალაიაში მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა და გარდუვალია ბრძოლა სინგაპურისათვის. კორესპონდენტის ცნობით, ამჟამად მალაიაში სპობენ სასტუმროებს, მაღაზიებს, საცხოვრებელ სახლებს, რკინიგზებს, სურსათის, კალისა და კაუჩუკის მარაგს. განსაკუთრებით გულმოდგინე ნგრევა მოახდინეს ქუალა-ლუმპურში. რკინიგზის სადგურები, ხიდები, სარემონტო სახელოსნოები, ორთქლმავლები და საწყობები ააფეთქეს ან დასწვეს.

წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციები უცხოეთის პრესის გაშუქებით

ნიუ-იორკი, 15 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამი“ ეხება წითელი არმიის წარმატებითს შეტევას და აღნიშნავს, რომ „რუსეთი წინანდებურად რჩება ერთადერთ ფრონტად, საიდანაც ხელსაყრელი ინფორმაცია მოდის“. რუსებმა გერმანიის „უძლეველობის“ მითი გააქარწყლეს. მათ უკვე მოსპეს აურაცხელი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ტანკი, ქვემეხი, თვითმფრინავი და სხვა გერმანული საჭურველი. მტრის ცოცხალი ძალის მოსპობას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰიტლერს პირველად მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ასეთი ზარალი. გერმანია საბჭოთა-კავშირის ფრონტზე ოპერაციების განვითარება ბევრად განსაზღვრავს მოვლენათა მთელ მიმდინარეობას 1942 წელს.

სტოკჰოლმი, 15 იანვარი (საკდესი). შვედური გაზეთი „სვენსკა მორგენბლადეტი“ სამხარ მიმოხილვაში სწერს, რომ წითელი არმიის შეტევა გრძელდება. რუსები ინიციატივას ინარჩუნებენ ყველგან და გერმანიის ჯარისკაცების მდგომარეობა საბჭოთა კავშირის ფრონტზე ნაკლებ სახარბიელოა. უკან დახევა მძიმე გავლენას ახდენს გერმანიის არმიის მორალურ მდგომარეობაზე. ხოლო რუსეთის ჯარების მორალური მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა, რადგან ისინი მოწინააღმდეგეს აძევებენ თავიანთი მშობლიური ქვეყნიდან. გერმანელები წინანდებურად გაიძახიან არაერთგვაროვან ბრძოლებზე და „საზამთრო ხაზისაკენ“ წაწევაზე. მაგრამ სად გაივლის ეს ყბადაღებული ხაზი? ზამთარში მისი აშენება მეტად ძნელია. თანაც რუსები მოსვენებას არ აძლევენ გერმანელებს.

ინგლისელ მწერალთა აღშფოთება იასნაია პოლიანის განადგურების გამო

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). ინგლისელი მწერლები კვლავ გამოსთქვამენ აღშფოთებას გერმანელთა მიერ იასნაია პოლიანაში ჩადენილი ვანდალიზმის გამო. ინგლისელი პოეტი ვალტერ დელამარი სწერს: „ძნელია სიტყვის გამონახვა იმისათვის, რომ გამოთქვა საშინელება და ზიზღი, როდესაც ასეთი ვანდალიზმის ამბავს გაიგონებ. ეს მოქმედება დანაშაულობასა და გაბოროტებას მოწმობს. პირადად მე ვწუხვარ რუსეთისათვის და ყველა ჩვენთაგანისათვის ასეთი უაღრესად უდიდესი განძის დაკარგვას“.

ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი ტომლინსონი სწერს: „ბევრი რამ შემეძლო მეთქვა რუსებისათვის და ჩემი თანამოძმეებისათვის — რუსეთის მწერლებისა და პოეტებისათვის გერმანელთა მიერ ტოლსტოის სახლკარის წაბილწვისა და მისი განძეულობის მოსპობის გამო, მაგრამ ეს სიტყვები პრესისათვის არ გამოდგებოდა. მწარე სინამდვილე რომ არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა იმის დაჯერება, რომ ევროპელებს შეუძლიათ წაბილწონ იასნაია პოლიანა, სადაც ცხოვრობდა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ევროპელი. ტოლსტოის სახელი ცნობილია ინგლისში ისევე, როგორც რუსეთში. ის და ჩეხოვი ინგლისელ მწერალთა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობენ და, შესაძლებელია, რუსებმა არც კი იციან, თუ, რა რიგ დიდია ეს გრძნობები. რუსეთის პოეტები და მწერლები ისეთივე მასშტაბის ხალხია, როგორც ჩვენი შექსპირის ეპოქის წარმომადგენლები, და ჩვენ ეს ვიცით. ძნელია იმის თქმა—შესძლებენ თუ არა ოდესმე გერმანელები მოიშორონ ის საშინელი სამარცხვინო ლაქა, რომელიც ჰიტლერელებმა გერმანელი ხალხის ისტორიას მოსცხეს“.

საომარი მოქმედება ლიბიაში

ლონდონი, 14 იანვარი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის მობილური კოლონების წინააღმდეგ მტრის ავიაცია მოქმედებს ძლიერად, ამ კოლონებმა კვლავ მოახერხეს წინ წაწევით და გაეძლიერებინათ მიწოლა მტრის არიერგარდებზე; ეს არიერგარდები ჰფარავენ მის მთავარ ძალებს, რომელნიც ამჟამად იმყოფებიან ელ-აგეილის რაიონში და ცოტა უფრო სამხრეთით.

13 იანვარს ინგლისის არტილერიამ სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის ურთიერთმოქმედებით ინტენსიურად დაბომბა მტრის პოზიციები ჰალფაიის რაიონში.

მდგომარეობა ლიბიაში

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, თუმცა ოპერაციები ელ-აგეილის გარშემო ნელა მიმდინარეობს, მაგრამ ეს ოპერაციები მაინც ინგლისელთა სასარგებლოდ ვითარდება. ინგლისის ჯარებმა მოახერხეს და მოწინააღმდეგის დიდძალი აეროდრომი იგდეს ხელთ კირენაიკაში. მტრის საველე აეროდრომები, რომლებიც სირტის ყურის სანაპიროს გასწვრივ მდებარეობენ ელ-აგეილის დასავლეთით, სრულიად ვერ შეედრებიან ინგლისელთა ხელში გადასულ საუცხოო აეროდრომებს. მათ შორის ყველაზე უკეთესია ბენინის, ბენგაზის, ბარკის, მარაუას, დერნის, მარტუბის, ტმიმის, ელ-აგეილის, ელ-გაზალის და ელ-ადემის აეროდრომები. თუ ამ ბაზებს დაემატება, ინგლისის ავიაციას შეუძლია იერიშები მიიტანოს მოწინააღმდეგის მომარაგების ხაზებს და მაშველ ძალებზე მთელი სანაპიროს გასწვრივ ტრიპოლამდე. მოწინააღმდეგეს კი, რომელსაც ასეთი ბაზები არ გააჩნია, არ შეუძლია ხელი შეუშალოს ინგლისელებს კირენაიკის ნავსადგურების გამოყენებაში. მოკავშირეებს, რომლებიც ინარჩუნებენ სანაპირო ხაზს ბენგაზიდან სირტის რკინიგზის საზღვრებამდე შეუძლიათ გააქარწყლონ მტრის მუქარა ეგვიპტისა და სუეცის არხის მიმართ. იმავე დროს მალტა მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც მოწინავე დამკვრელი ბაზა ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში. ამ კუნძულზე მყოფმა ინგლისის ყველა გვარების ჯარებმა ამას წინათ მნიშვნელოვანი მაშველი ძალები მიიღეს, და სწორედ შიშმა ამ ბაზის მზარდი ძლიერების წინაშე აიძულა მოწინააღმდეგე გაეძლიერებინა საჰაერო თავდასხმა ამ ბაზაზე.

ლონდონი, 14 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო მალტიდან იუწყება, რომ ამ უკანასკნელი 5 კვირის განმავლობაში კუნძულზე 210-ზე მეტი საჰაერო თავდასხმა მოუწყო, აქედან 90-ზე მეტი თავდასხმა დღისით და 120-ზე მეტი ღამით. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ სამი ღამე იყო, როდესაც საჰაერო განგაში არ გამოცხადებულა. ზოგიერთი თავდასხმა მთელ ღამეს გრძელდა. სამი კვირის განმავლობაში, დაწყებული 19 დეკემბრიდან, ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერიამ მტრის 17 თვითმფრინავი მოსპო და 20 დააზიანა.

ჰიტლერელები ესპანელ ფალანგისტებს იყენებენ ლათინურ ამერიკაზე თავდასხმის მოსამზადებლად

ნიუ-იორკი, 15 იანვარი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს“ მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ცვიჯვენებენ, რომ გერმანელები ფართოდ იყენებენ ესპანელ ფალანგისტთა ორგანიზაციებს, რათა განახორციელონ თავისი დამპყრობითი გეგმები ლათინური ამერიკის მიმართ. მექსიკის მთავრობას,—აღნიშნავს გაზეთი,—თავის განკარგულებაში მოეპოვება ისეთი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ესპანეთის მთავრობისა და ფალანგისტთა ორგანიზაციები ლათინურ ამერიკაში გერმანელებთან თანამშრომლობენ, რათა მოამზადონ სამხრეთ-ამერიკაზე თავდასხმა ესპანეთის აფრიკის კოლონიებიდან, კანარის კუნძულებიდან და დაკარიდან. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ლათინური ამერიკის ფაშისტურმა ორგანიზაციებმა იარაღი მიიღეს ესპანეთიდან. მათ სამხედრო მომზადება გაიარეს ესპანელ და გერმანელ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით და სამხრეთ-ამერიკის ზოგიერთ ოფიცერთა დახმარებით.

ცვლილება გერმანიის უმაღლეს სამხედრო სარდლობაში

სტოკჰოლმი, 15 იანვარი (საკდესი). როგორც შვედურ გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა ბერლინში მყოფ უცხოელ კორესპონდენტთა წინაშე ოფიციალურად დაადასტურა, რომ გერმანიის უმაღლეს სარდლობაში მართლაც დიდი ცვლილება მოხდა. ამ ცვლილებებს მან უწოდა „სარდლობის გეგმიანი გადანაცვლება გარკვეულ ოპერატიულ გეგმებთან დაკავშირებით“. სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა აგრეთვე, რომ გადაყენებული და მათ ადგილას დანიშნული გენერლების სახელები არ გამოქვეყნდება, „რათა გერმანიის სამხედრო გეგმები არ იქნას გამოაშკარავებული“.

პოლონელი პარტიზანების ბრძოლა

სტოკჰოლმი, 15 იანვარი (საკდესი). როგორც შვედური გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ იუწყება, ამ უკანასკნელ ხანს პოლონეთში გაძლიერდა პარტიზანების მოქმედება. პარტიზანები თავს ესხმიან გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, სპობენ სამხედრო ტრანსპორტებს. გაზეთი „კრაკოვსკი ვისტი“, რომელიც კრაკოვში გამოდის, უკანასკნელ ნომერში აქვეყნებს გერმანელების მიერ ლიუბლინში შექმნილი მაშველი პოლიციის უნტეროფიცრების 3 ნეკროლოგს. ისინი, როგორც გაზეთი სწერს, „ტრაგიკულ გარემოებაში დაღუპულან“, ე. ი. პარტიზანებს მოუკლავთ.

„კრაკაუერ ცაიტუნგი“ იუწყება აგრეთვე, რომ ამ დღეებში შეიარაღებულმა პარტიზანულმა რაზმებმა ვარშავის მახლობლად ტყვია დაუშინეს სამხედრო ეშელონს, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მიდიოდა.

ტერბოვენის ბრძანება ნორვეგიელ ოფიცერთა დაპატიმრების შესახებ

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). ჰიტლერის ჯარების მიერ ნორვეგიის ოკუპაციის შემდეგ მრავალი ნორვეგიელი ოფიცერი ინგლისს გაიქცა, სადაც ჩაებნენ გერმანელ დამპყრობთაგან ნორვეგიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ოფიცერთა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო ინგლისელთა რეიდებში ნორვეგიის სანაპიროზე.

როგორც ლონდონის რადიო იუწყება, ჰიტლერის მოადგილემ ნორვეგიაში ტერბოვენმა ბრძანება გასცა, რომ დაპატიმრებულ იქნას ნორვეგიაში მყოფი ნორვეგიის არმიის, ფლოტისა და ავიაციის ყველა ოფიცერი.

გარდა ამისა, ტერბოვენმა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნა ნორვეგიის უმაღლესი სასამართლოს 20 წევრი, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელ ხელისუფალთ.

ფინური გაზეთის მწარე აღიარება

სტოკჰოლმი, 15 იანვარი (საკდესი). ფინური გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრაატი“ ირონიით სწერს შობადობის გადიდების კამპანიის გამო, რაც ფინეთში დაიწყო, და მწარედ აღნიშნავს: „ისეთ დროს, როცა ახალშობილი თეთრეულის მაგივრად ქაღალდში უნდა გავხვიოთ, როცა დედებს არავითარი შეწევნა არ გააჩნიათ, როცა ჩვენი ბავშვები შიმშილით იხოცებიან, სრულიად უადგილოა აურზაური აგიტაცია შობადობის გადიდების შესახებ“.

გაზეთი „კარიალა“ აღნიშნავს ფინეთში პურის მხრივ კატასტროფულ მდგომარეობას და წინადადებას იძლევა აღდგენილ იქნას „ფინელთა გაჭირვების დროის ძველი ჩვეულება“—ხის ქერქის გარევა პურში.

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 14 იანვარს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდი შენაერთები მოქმედებდნენ ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

დაბომბილ იქნა ჰამბურგი, ემდენი და გერმანიის სხვა ნავსადგურები. ჰამბურგში, რომელიც თავდასხმის ძირითადი ობიექტი იყო დიდი ხანძარი გაჩნდა დოკებსა და შენობებში, რომლებიც იწვოდნენ, როცა ინგლისის თვითმფრინავები ბრუნდებოდნენ. გარდა ამისა, თავს დავესხით როტერდამს და მოწინააღმდეგის აეროდრომებს ჰოლანდიაში. ინგლისის 5 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

იმავე ღამეს მტრის ავიაციამ მცირეოდენი აქტივობა გამოიჩინა ინგლისის სანაპირო რაიონებში. ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს უმნიშვნელო ზარალი მიაყენეს. მსხვერპლის შესახებ ცნობა არ მოსულა. მოსპობილია მოწინააღმდეგის 1 თვითმფრინავი.

იაპონია-ჩინეთის ომი

ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში გააფთრებული ბრძოლა გრძელდება. ჩინეთის ჯარები გარს შემოერტყნენ იაპონიის იმ ჯარების ნაშთებს, რომლებიც ჩანშასთან დამარცხდნენ, და ოპერაციებს განაგრძობენ მდინარე მილოს ჩრდილოეთ ნაწილის გასაწმენდად. ამ მდინარის სამხრეთი ნაპირი უკვე სავსებით გაწმენდილია იაპონიის ჯარებისაგან. იაპონელები ცდილობდნენ გაერღვიათ რკალი და ამისთვის მდინარე მილოს ჩრდილოეთ ნაპირზე ბრძოლაში ავიაცია და ტანკები გამოიყენეს, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ხუბეის პროვინციაში ჩინეთის ჯარებს კვლავ მიაქვთ იერიში იაპონელთა ძლიერ გამაგრებულ პოზიციებზე ქალაქ სუისიანის რაიონში. ჩინეთის ჯარების მობილური ნაწილები სუისიანში შევიდნენ.

ჩინეთის ჯარებმა სამხრეთ ჩინეთში იაპონელებს წაართვეს სტრატეგიული მხრივ მნიშვნელოვანი ქალაქი ლუნბაო, რომელიც კანტონის ჩრდილოეთით მდებარეობს.

ჩინეთის ჯარებმა, რომლებიც კანტონ-კოულუნის რკინიგზის გასწვრივ მოქმედებენ, ბევრგან ადგილობრივ წარმატებებს მიაღწიეს.

15 იანვარი (საკდესი).

მზადება ლენინის დღეებისათვის

თბილისის საქალაქო აგიტპუნქტში

თბილისის საწარმო-დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები შეუდგნენ მზადებას ლენინის დღეებისათვის. ქალაქის საგიტაციო პუნქტმა კონსულტაციები მოაწყო მომხსენებლებისა და აგიტატორებისათვის. ლენინის დღეებში ჩასატარებლად შერჩეულია სულ 16 თემა. თემების მიხედვით სწარმოებს ლიტერატურის შერჩევა.

ქალაქის საგიტაციო პუნქტში ჩატარდება მოხსენებები დიასახლისებისათვის, რომელთაც ფართოდ განუმარტავენ ძირითად მომენტებს დიდი ლენინის ცხოვრებიდან. მოხსენებების შემდეგ აგიტპუნქტში უჩვენებენ კინოსურათებს „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“ და სხვ.

ქალაქის აგიტპუნქტში უკვე მოეწყო დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მრავალი ფაქტიური მასალითა და ისტორიული დოკუმენტებით არის გაშუქებული განყოფილებანი „ლენინის და სტალინის მეგობრობა“, „ლენინი და სტალინი საბჭოთა მიწა-წყლის დაცვის შესახებ“ და სხვ. განსაკუთრებული განყოფილება მიძღვნილია ლენინურ-სტალინური მოძღვრებისადმი ომების შესახებ, საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომისადმი და ამხანაგ სტალინის, როგორც მხედართმთავრის და წითელი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორის, როლისადმი.

ლენინის დღეებში თბილისის საწარმოებსა, დაწესებულებებსა და აგრეთვე ყოფილ საარჩევნო უბნებში გაიმართება მშრომელთა მასობრივი კრებები, რომლებიც დიდი ლენინის ხსოვნას მიეძღვნება.

ემზადებიან ლენინის დღეებისათვის

თბილისის პარტიული ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან ლენინის დღეებისათვის.

20 და 21 იანვარს წარმოებებსა, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, აგრეთვე ყოფილ საარჩევნო უბნებში გაიმართება მშრომელთა მასობრივი კრებები, სადაც თემაზე „დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშით, ამხანაგ სტალინის მეთაურობით გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისაკენ“ მოხსენებებს გააკეთებენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის, თბილისის კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების მიერ შერჩეული კვალიფიციური მომხსენებლები.

ბერიას სახელობის აგიტპუნქტმა უკვე მოაწყო გამოფენა ხსენებულ თემაზე, ხოლო ორჯონიკიძისა და კიროვის რაიაგიტპუნქტები გამოფენების მოწყობას ამთავრებენ. გარდა ამისა, ხსენებული აგიტპუნქტები 20 იანვრამდე მოაწყობენ აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა და აგიტატორთა სემინარებს, რის შემდეგ აგიტატორები დიასახლისებს შორის ჩაატარებენ საუბრებს დიდი ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ თემებზე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია შეუდგა სამზადისს ლენინის დღეებისათვის. აგიტატორები, რომლებიც დიასახლისებთან ატარებენ მუშაობას, რამდენიმე საუბარს დიდი ლენინის ხსოვნას მიუძღვნიან. გამოყოფილია მომხსენებლები წითელი არმიის საშეფო ნაწილისათვის. უნივერსიტეტის ძალებით ჩატარებული იქნება აგრეთვე მოხსენებები ყოფილი საარჩევნო უბნის დიასახლისებისათვის.

უნივერსიტეტის აგიტპუნქტი აწყობს გამოფენას, რომელიც ფართოდ ასახავს დიდი ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, საბჭოთა ხალხის დიად სამამულო ომში წითელი არმიის გმირულ გამარჯვებებს დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. გამოფენის მოწყობა ძირითადად უკვე დამთავრებულია და ამ დღეებში გაიხსნება.

თბილისის თეატრები ლენინის დღეებში

თბილისის თეატრები ემზადებიან ლენინის დღეების აღსანიშნავად, თეატრების ფოიეებში მოეწყობა გამოფენები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. 21 და 22 იანვარს სპექტაკლების დაწყების წინ წამყვანი მსახიობები წაიკითხავენ ჩვენი პოეტების ლექსებისა და პოემების ნაწყვეტებს, მიძღვნილს ლენინის ხსოვნისადმი.

ლენინის დღეებში, 21 და 22 იანვარს თეატრები დასდგამენ: ოპერის თეატრი—„ალსა“ და „ლალატს“, რუსთაველის თეატრი — „პროფესორ მამლოკს“ და „როვევას“, მარჯანიშვილის თეატრი „მარგარიტა გოტიეს“ და „კრემლის კურანტებს“, გრიბოედოვის თეატრი—„ჭაბუკს ჩვენი ქალაქიდან“ და „ლიუბოვ იაროვაიას“, სომხური დრამა—„კინტოს“ და „ჭაბუკს ჩვენი ქალაქიდან“, აზერბაიჯანული თეატრი—„50 წლის ჭაბუკს“ და „სეველს“.

გერმანიის ეკონომიური გაჭირვების გამწვავება

ნიუ-იორკი, 15 იანვარი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჰიტლერელები საეჭვო დაჟინებით უარჰყოფენ ცნობებს იმის შესახებ, რომ გერმანელი ხელისუფალნი განსაკუთრებულ ღონისძიებებს ხმარობენ გერმანიაში მოსალოდნელი მღელვარების წინააღმდეგ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამას წინათ უცხოეთის ყველა ბერლინელი კორესპონდენტი შეაღამისას გააღვიძეს და წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ უარეყოთ ეს ცნობები. ამასთანავე გერმანიის ყველა გაზეთი აღიარებს გერმანიის სამხედრო მდგომარეობის სერიოზულობას და მოუწოდებს ზედავს „დაიცავით ჰიტლერის ერთგულებაო“.

გერმანიის მოსახლეობის უკმაყოფილება,— აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი, — განსაკუთრებით გაძლიერდა გერმანიის სასურსათო მდგომარეობის გაუარესების გამო. გერმანიის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ფრაიდენბერგმა განაცხადა, რომ 1942 წელს გერმანია უკვე ველარ მიიღებს სურსათს ოკუპირებული ქვეყნებიდან, რადგან იქ განსაკუთრებული დაძაბული სასურსათო მდგომარეობა შეიქმნა. ამჟამად, — განაცხადა ჰიტლერელმა მოხელემ,—გერმანია კარტოფილის დიდ ნაკლებობას განიცდის, კერძოდ, იმიტომ, რომ დიდძალი კარტოფილი გაიყინა, რადგან მის გადასაზიდავად სატრანსპორტო საშუალებანი არა კმაროდა. იგივე კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ დღეებში ბერლინში სიკვდილით დასჯილ 4 კაცში ერთი გერმანიის მეურნეობის სამინისტროს მოხელე ვინკელმანი იყო, რომელიც სასურსათო ბარათების არაჩვეულებრივ დიდ სპეკულაციურ მახინაციებში ერია. ვინკელმანის საქმე მეტად გახმიანდა და ჰიტლერელები იძულებული გახდნენ „მსხვერპლად“ გაეღოთ ვინკელმანი, დაეხვრიტათ იგი.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს განსაკუთრებით მწვავე სატრანსპორტო სიძნელეებს გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. ეკონომიური ექსპერტების განცხადებით, ეს სიძნელენი აუარესებენ უიმისოდაც დაძაბულ სასურსათო მდგომარეობას გერმანიაში და მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. გერმანული გაზეთი „ვესტდოიჩე ტაგესპოსტი“ ამას წინათ იუწყებოდა, რომ იუგოსლავიის რკინიგზების მოშლამ კიდევ უფრო საგრძნობი გახადა სურსათის ნაკლებობა ბევრ რაიონში. ვაშინგტონში ექსპერტები ჰფიქრობენ, რომ ევროპის სატრანსპორტო სიძნელეთა ძირითადი მიზეზებია გერმანიის არმიის გაზრდილი მოთხოვნილებანი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და საქონლის ვაგონებისა და საპოხი ზეთების ნაკლებობა გერმანიაში. ეს სიძნელენი ზოგჯერ იმას იწვევენ, რომ ნედლეულის მიზიდვაც წყდება გერმანიის ძირითად სამხედრო საწარმოებში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი აღნიშნავს, ნავთის მწვავე უკმარობას გერმანიაში. ამას მოწმობს გერმანელთა ბრძანება, რომელიც ხელში ჩაუგდიათ ლიბიის ფრონტზე და რომელშიც ნათქვამია: „რუსეთში საწვავის უდიდესი ხარჯის გამო, საწვავის მდგომარეობა გერმანიაში განსაკუთრებით დაძაბული გახდა“. ბრძანება მოუწოდებს ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფ გერმანელთა ნაწილებს დაიცვან საწვავის უსასტიკესი ეკონომია.

შეუსაუკუნეებრივი ნამება ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ პოლონეთში

ნიუ-იორკი, 14 იანვარი (საკდესი). როგორც ოვერსის ნიუსის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, კრაკოვის ერთ-ერთ საპატიმროში ჰიტლერელმა ჯალათებმა შუასაუკუნეებრივი ნიმუშის ბორკილები გაუყარეს 80 პოლონელს. ამ ბორკილებით მარჯვენა ხელს მარჯვენა ფეხზე აკრავენ.

დამზრალი გერმანელი ჯარისკაცები საფრანგეთში ჩაიყვანეს

ლონდონი, 16 იანვარი (საკდესი). ამას წინათ მარსელში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან 2 ათასი დამზრალი გერმანელი ჯარისკაცი ჩაიყვანეს. ბევრ მათგანს ამპუტირებული აქვს ხელი და ფეხი.

ქრონიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. ნ. კ. ბარკალაია დანიშნა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ და საევაკუაციო ჰოსპიტლების ხელმძღვანელობის დარგში საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან არსებული სამმართველოს უფროსად.

ამხ. გ. ზ. ფიცხელაური განთავისუფლებულია საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილის და საევაკუაციო ჰოსპიტლების ხელმძღვანელობის დარგში საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან არსებული სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან. (საქდესი).

„საქორწინო მოგზაურობა“ თბილისის მუსკომედიის თეატრში

დღეს, 17 იანვარს, თბილისის მუსკომედიის თეატრი მაყურებელს უჩვენებს მორიგ პრემიერას—„საქორწინო მოგზაურობას“. დადგმა ეკუთვნის ა. ჩხარტიშვილს, ცეკვები—დ. მაჭავარიანს, მხატვრობა—ნ. კილოსანიძეს. მთავარ როლებს ასრულებენ ჩიქოვანი, თულაშვილი, მოსეშვილი, სალარიძე, ინგილო, ჟორჟაძე, ანანიაშვილი და სხვ.

მოხსენება

19 იანვარს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალაქის აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **ბ. ჟღენტის** მოხსენება ქართულ ენაზე. თემა: **„ქართული ლიტერატურის კლასიკოსები პატრიოტიზმის შესახებ“.**

ბილეთების მიღება შეიძლება აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4333058, გაცემული ანტონ იეგნესა-ძე **მუშიშკის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1503312, გაცემული ვარლამ ზაქარიას-ძე **გიორგობიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბილეთი № 1683482, გაცემული ვლადიმერ ნოეს-ძე **ჯიჯიეშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2840960, გაცემული დავით სიმონის-ძე **ბლიაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებში

სახოპერა — 17 იანვარს — „აიდა“, **რუსთაველის სახელობის** — 18 იანვარს — „კიკვიძე“, 18 იანვარს დღისით — „როვევა“, **მარჯანიშვილის სახელობის** — 18 იანვარს — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, 18 იანვარს დღისით —„ მკაცრი ქალიშვილები“, **სანქულტურის** — 17 იანვარს — „აჯიოლდა“, 18 იანვარს — „გაგრძელება იქნება“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 17 იანვარს — „გაიდარი“ (მე-5 აბ.), 18 იანვარს — „გაიდარი (მე-15 აბ. დასაწყ. დღის 11 ს., მე-32 აბ. დასაწყ. დღის 2 ს.), 18 იანვარს — „გაიდარი“ (აბ. გარეშე, დასაწყ. საღ. 8 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „უკანასკნელი ღამე“, განთავისუფლებულ როსტოვში, **ოქტომბერი** —„კუზიანი კვიცი“, განთავისუფლებულ როსტოვში, **დამკვრელი**—„მეგობრები“, განთავისუფლებულ როსტოვში, **სპარტაკი** — „მინდვრის შპატი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „ოქროს ვასალები“, „ნიღაბი“. **26 კომ. სახ.** —„კაინი და არტემი“, **კომინტერნი**—„ჩემი სიყვარული“, **მეცნიერება და ცოდნა**—„ტანკერი დერბენტ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტი იუწყება ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის

ნინო სიმონის-ასულ ნასყიდაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/I 8 ს. არსენალის გზატკეცილი, 1, გამოსვენება 18/I 3 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 52

საქრადიოკომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან

ანასტასია (ტასო) მათეს-ასულ არჩუაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/I 6½ ს. კლინიკური ინსტიტუტის (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) პროზექტურაში. გამოსვენება იქიდანვე 18/I 1 ს. ვერის სასაფლაოზე.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდისა—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვებისა—3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3 — 77 — 70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

უე 166